



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19251508

თარიღი:30/05/2025

განკარგულება №54

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გეგი ონიანისა და მწვრთნელის ოქრუა ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 13 მაისის №64 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გეგი ონიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 800 (რვაასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ოქრუა ჯოხაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:
გეგი ონიანი - 800 (რვაასი) ლარი, პ/ნ 12101103280, GE14TB7695545061100097;
ოქრუა ჯოხაძე - 400 (ოთხასი) ლარი, პ/ნ 12001057622, GE28BG0000000582306050.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

